

## მიმდინარე ანგარიშით მომსახურების პირობები

### 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადისა და აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ [შემდგომ „ბანკი“] უხსნის კლიენტს მიმდინარე ანგარიშ ებს [შემდგომ "ანგარიში"] და უწევს მას მომსახურებას წინამდებარე პირობებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ხოლო კლიენტი გაწეული მომსახურებისათვის იხდის საფასურს ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. მომსახურების ტარიფები განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე. ტარიფებში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით და არ საჭიროებს წერილობითი შეთანხმების გაფორმებას.

1.2 წინამდებარე პირობების საფუძველზე/ფარგლებში გახსნილი რომელიმე მიმდინარე ანგარიშის მიმართ, წინამდებარე პირობებისაგან განსხვავებული პირობის ან ტარიფის გამოყენების შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება შეთანხმება მიმდინარე ანგარიშით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანის შესახებ. შეთანხმება შესაძლებელია გაფორმდეს წერილობით ან დისტანციურად/დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით [დისტანციურად გაფორმებულ შეთანხმებად ასევე ითვლება მხარეთა მიერ ნების დისტანციურად გამოვლენა/გაცვლა]. დისტანციურად გაფორმებულ შეთანხმებას აქვს წერილობითი ფორმის შეთანხმების ტოლფასი იურიდიული ძალა.

1.3 გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა – [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

1.4 „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: [www.diagency.ge](http://www.diagency.ge).

### 2. ანგარიშზე ოპერაციების წარმოების ზოგადი წესი

2.1 ბანკი ახორციელებს ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას მასზე არსებული ნაშთის ფარგლებში, ასევე საკრედიტო [ოვერდრაფტის] ლიმიტის ფარგლებში, თუკი აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საკრედიტო [ოვერდრაფტის] ლიმიტით სარგებლობის პირობებს.

2.2 ფულადი თანხების გადარიცხვაზე კლიენტის საგადახდო დავალების შესრულება ბანკის მიერ ხორციელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ ვადებში.

2.3 ამონაწერი ანგარიშზე წარმოებული ოპერაციის შესახებ კლიენტს მიეცემა მოთხოვნიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2.4 კლიენტი თანახმაა, რომ ბანკის მიერ შესაბამისი მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში ბანკში ანგარიშები გახსნას დისტანციურად, ვიდეობანკის ან სხვა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო საშუალებით გაკეთებული განაცხადის საფუძველზე. შესაბამისი დოკუმენტების ბანკისათვის წარდგენამდე დისტანციურად გახსნილ ანგარიშზე შესაძლებელია მხოლოდ ჩარიცხვის ოპერაციების განხორციელება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.5 კლიენტისათვის ცნობილია და ადასტურებს, რომ დისტანციური საბანკო მომსახურებით განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია ითვლება ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებულ, სამართლებრივი ძალის მქონე ნების გამოვლენად, შესაბამისი თანამდევნი იურიდიული შედეგით. ინტერნეტ ბანკის ან სხვა დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ელექტრონულ ჩანაწერებს აქვთ იურიდიული ძალა და შესაძლებელია გამოყენებული იქნას მტკიცებულების სახით.

2.6 ბანკი უფლებამოსილია, კლიენტს უარი განუცხადოს მომსახურების გაწევაზე უარის მიზეზების განმარტების გარეშე. კლიენტის მიერ განაცხადის შევსება/წინამდებარე პირობებზე დათანხმება, აგრეთვე, ბანკისათვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას, გაუწიოს კლიენტს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე მომსახურება.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ სხვა ბანკის მეშვეობით კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის საბუთში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები სრულად არ დაემთხვევა ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, ბანკი მიღებულ თანხას ჩარიცხავს „გაურკვეველი თანხების“ ანგარიშზე, აწარმოებს [ბანკის შესაძლებლობის ფარგლებში, რაიმე ხარჯის გაღების გარეშე] აუცილებელ გამოკვლევას თანხის მიმღების დასადგენად და მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოსწორების შემთხვევაში თანხას ჩარიცხავს კლიენტის ანგარიშზე, ხოლო გამოუსწორებლობის შემთხვევაში თანხას დაუბრუნებს გადამხდელს.

### **3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

#### **3.1 ბანკი ვალდებულებას იღებს:**

3.1.1 დროულად მიიღოს და ჩარიცხოს გადმორიცხული ან ნაღდის სახით შემოსული ფულადი სახსრები ანგარიშზე;

3.1.2 შეასრულოს კლიენტის განკარგულება ანგარიშიდან თანხების გადარიცხვის ან ნაღდის სახით გაცემის შესახებ;

3.1.3 კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით ან წინამდებარე პირობებით, კლიენტთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავალების გარეშე, ჩამოწეროს შესაბამისი თანხები ანგარიშიდან, აგრეთვე, განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.1.4 უზრუნველყოს ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების დაცვა;

3.1.5 უზრუნველყოს საბანკო საიდუმლოების ანუ ანგარიშზე არსებული ნაშთებისა და ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების საიდუმლოების დაცვა, გარდა კანონმდებლობითა და კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებ[ებ]ით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

3.1.6 ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობისას, ბანკში საოპერაციო დღის [საოპერაციო დღე - კალენდარული დღე თბილისის დროით 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უქმე დღეებისა] განმავლობაში წარდგენილი საანგარიშსწორებო საბუთების 2.2 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში ბანკის ბრალით შეუსრულებლობისას, აუნაზღაუროს კლიენტს მიყენებული ზიანი.

### 3.2 ბანკს უფლება აქვს:

3.2.1 გამოიყენოს ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები იმ პირობით, რომ კლიენტმა შეუფერხებლად მოახდინოს მათი განკარგვა;

3.2.2 ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს: [ა] მომსახურების საფასური ყოველი საბანკო ოპერაციის ჩატარებისას დადგენილი ტარიფების შესაბამისად; [ბ] ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარად ან ვალდებულების შესასრულებლად საჭირო თანხა; [გ] შეცდომით ან/და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩარიცხული ან/და საექვო თანხები და აღადგინოს შესაბამის ანგარიშზე ან გადარიცხოს დანიშნულებისამებრ; [დ] საერთაშორისო საგადამხდელი სისტემის და სხვა მომსახურე ბანკების საკომისიოები; [ე] თანხები, კანონმდებლობით ან/და კლიენტსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

3.2.2<sup>1</sup> კლიენტის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კომერციული კურსის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არსებული თანხის ვალუტა განსხვავდება უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხის ვალუტისაგან;

3.2.2<sup>2</sup> წინამდებარე პირობების 3.3.3, 3.3.5, 3.3.6, 3.3.7 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ან შესაძლო ზიანის რისკის დონის გათვალისწინებით, ბანკი უფლებამოსილია დაუხუროს კლიენტს ბანკში არსებული ანგარიში ან შეუზღუდოს/შეუწყვიტოს კლიენტს ოპერაციების წარმოება;

3.2.3 მოსთხოვოს კლიენტს ზიანის ანაზღაურება/ჯარიმის გადახდა მის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა შეადგენს შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებული ნაწილის 0,5% ყოველი დღისათვის. აღნიშნული ჯარიმის დარიცხვა ხორციელდება ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ბანკის შეტყობინების კლიენტისათვის, წერილობით ან წინამდებარე პირობების 3.2.4<sup>1</sup> ქვეპუნქტით განსაზღვრული გზით წარდგენიდან ხუთი სამუშაო დღის შემდგომ. თუ კლიენტისათვის, ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ცნობილი გახდა ბანკის შეტყობინების მიღებამდე, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, რომელიც უფრო ადრე დადგა;

3.2.4 ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობები, მომსახურების ტარიფები და აღნიშნული ცვლილებები განათავსოს ბანკის ვებ-გვერდზე, ხოლო თუ მიმდინარე ანგარიშისათვის, წინამდებარე პირობების 1.2 პუნქტის შესაბამისად, გამოყენებულია განსხვავებული პირობები ან/და ტარიფები, აღნიშნული ცვლილების შესახებ, კლიენტს ეცნობება მხოლოდ 3.2.4<sup>1</sup> ქვეპუნქტით განსაზღვრული გზით;

3.2.4<sup>1</sup> წინამდებარე პირობებში/ტარიფებში ცვლილების შეტანა განახორციელოს აღნიშნულის შესახებ კლიენტისათვის კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან ელექტონული ფოსტის მისამართზე შესაბამისი შეტყობინების ან ინტერნეტბანკის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით. ცვლილება ძალაში შედის: (ა) შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის შემდეგ, თუ კლიენტი, შეთავაზებულ პირობებზე, ცვლილების ამოქმედებამდე არ განაცხადებს უარს; (ბ)

თუ წინამდებარე პირობების 1.2 პუნქტის შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშზე განსხვავებული პირობები ან/და ტარიფები მოქმედებდა კლიენტის მიერ რაიმე ვალდებულების შესრულების პირობით/რაიმე პირობის/გარემოების სანაცვლოდ და ეს ვალდებულება/პირობა/გარემოება არ შესრულდა/გაქარწყლდა, მაშინ აღნიშნული პირობის/ტარიფის ცვლილების ძალაში შესვლაზე არ მოქმედებს წინასწარი შეტყობინების ვალდებულება. ბანკის მიერ კლიენტის შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხორციელდება მომსახურების პირობის/ტარიფის ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულება შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტთან დაკავშირება/მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება კლიენტის ბრალეულობით და/ან კლიენტმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის;

3.2.4<sup>2</sup> ცვლილებებზე კლიენტის უარის შემთხვევაში, ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, კლიენტის გაფრთხილების გარეშე, შეუწყვიტოს კლიენტს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურება და დახუროს ანგარიში;

3.2.5 კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში, მისი გაფრთხილების შემდეგ დახუროს ანგარიში;

3.2.6 კლიენტის გაფრთხილების გარეშე დახუროს ანგარიში მოქმედი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3.2.7 დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის, ასევე, საერთაშორისო სანქციების რეჟიმის დაცვის შესახებ ვითიბი ჯგუფის კონსოლიდირებული პოლიტიკის დაცვის მიზნით, კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ გადასცეს ვითიბი ჯგუფში შემავალ კომპანიებს და სხვა კომერციულ ბანკებს;

3.2.8 სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს/შეუწყვიტოს კლიენტს ანგარიშებზე ოპერაციების წარმოება ან/და დახუროს კლიენტის ანგარიშები შემდეგ შემთხვევებში: [ა] თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი კლიენტის ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის კანონიერებასთან დაკავშირებით, [ბ] თუ ბანკისთვის ცნობილი გახდება ან არსებობს ეჭვი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა სახის სავარაუდო დანაშაულში კლიენტის, მისი წარმომადგენლის, ბენეფიციარი მესაკუთრის, კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირის ან ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის შესაძლო მონაწილეობის შესახებ;

3.2.8<sup>1</sup> წინამდებარე პირობების 3.3.3, 3.3.5, 3.3.6, 3.3.7 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ასევე 3.2.2<sup>2</sup>, 3.2.5, 3.2.6, 3.2.8 ქვეპუნქტებითა და კლიენტთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულებით ან კანონდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს კლიენტს ანგარიშის დისტანციურად განკარგვის უფლება /დისტანციური საბანკო მომსახურება;

3.2.9 კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს კონსულტანტს, მრჩეველს, გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას;

3.2.9<sup>1</sup> საგადახდო მომსახურების პროვაიდერს გადასცეს კლიენტის/კლიენტის ანგარიშის შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მესამე პირებს, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ან მათი სუბ აგენტების მეშვეობით კლიენტის საბანკო ანგარიშებზე განათავსონ თანხა;

3.2.9<sup>2</sup> კლიენტისათვის მომსახურების გაწევის ან/და საბანკო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, როგორც წინამდებარე მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი მოქმედების დასრულების შემდგომაც, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერი საკრედიტო-საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან ან/და სხვა წყაროდან მოიძიოს/გამოითხოვოს, გამოიყენოს ან სხვაგვარად დაამუშაოს კლიენტის შესახებ არსებული მონაცემები [მათ შორის, კლიენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემები];

3.2.9<sup>3</sup> ბანკის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული კვლევის განხორციელების მიზნით, კლიენტზე/კლიენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის პერსონალური ინფორმაცია გადასცეს კვლევის განმახორციელებელ პირს;

3.2.9<sup>4</sup> კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე, ელექტონული ფოსტის მისამართზე ან ინტერნეტბანკის საშუალებით, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, გააგზავნოს ბანკის სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები ყოველგვარი შინაარსობრივი შეზღუდვის გარეშე. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილი იქნას როგორც ბანკის, ისე ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანიის მიერ [აღნიშნულ შემთხვევაში, კლიენტთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია გადაეცემა მომსახურე კომპანიას]. ბანკი/ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანია ასევე უფლებამოსილია ზემოაღნიშნული ინფორმაცია კლიენტს შეატყობინოს სატელეფონო ზარის ან კომუნიკაციის სხვა საშუალების [მობაილბანკი და სხვა] მეშვეობითაც;

3.2.9<sup>5</sup> კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ასევე გადასცეს ბანკის აქციონერს ან ვითიბი ჯგუფის ნებისმიერ წევრს;

3.2.9<sup>6</sup> კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს კლიენტის მიმართ არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით;

3.2.9<sup>7</sup> კლიენტის მონაცემები და საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებული მონაცემები გადასცეს სადაზღვევო კომპანიას, რომელიც საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით სადაზღვევო მომსახურებას გაუწევს ბანკს ან/და კლიენტს;

3.2.9<sup>8</sup> წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებ[ებ]ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისაგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს ასევე სხვა მესამე პირებს.

3.2<sup>1</sup> კლიენტისათვის ცნობილია, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ უფლებამოსილია კლიენტის სასესხო/გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში

განახორციელოს კლიენტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

3.2<sup>2</sup> კლიენტის შესახებ ნებისმიერი სახის მონაცემის/ინფორმაციის მოძიების/გამოთხოვის, გამოყენების, მესამე პირებისათვის გადაცემის და სხვაგვარად დამუშავების წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები ძალაში რჩება მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების დასრულების/შეწყვეტის შემდგომაც.

### **3.3 კლიენტი ვალდებულია იღებს:**

3.3.1 ანგარიშზე ოპერაციების წარმოებისათვის გადაუხადოს ბანკს მომსახურების საფასური მოქმედი ტარიფების შესაბამისად;

3.3.2 ანგარიშზე ფულადი სახსრების შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში ან არავეტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ; 3.3.3 წარადგინოს ბანკში თავის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, მათ შორის ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები მის, მისი კონტროლის და მფლობელობის სტრუქტურაში შემავალი პირ(ებ)ის, ბენეფიციარ(ებ)ის, კონტრაგენტ(ებ)ის, გარიგებ(ებ)ის შესახებ;

3.3.4 აცნობოს ბანკს ყველა იმ ცვლილების თაობაზე, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიონ წინამდებარე პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებათა დროულად შესრულებაზე და წარუდგინოს ბანკს ცვლილებათა დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს 3.3.3, 3.3.6 ქვეპუნქტში აღნიშნული ინფორმაციის ან/და ანგარიშით მომსახურებაზე განაცხადში ასახული მონაცემის ან/და ბანკისათვის მიწოდებულ კლიენტის წარმომადგელობითი უფლებამოსილების მქონე პირის/ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის პერსონალურ მონაცემებში ცვლილებების შესახებ და წარუდგინოს ბანკს ამ ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე შეატყობინოს ბანკს იმ პირების ცვლილების შესახებ, რომლებიც უფლებამოსილი არიან განკარგონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის შესახებ. კლიენტის წარმომადგელობითი უფლებამოსილების მქონე პირის/ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლისას, დაუყოვნებლივ წარუდგინოს ბანკს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.3.6 წარუდგინოს ბანკს ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელიც აუცილებელია ანგარიშზე ოპერაციების ჩასატარებლად;

3.3.7 ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს ბანკს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი [მათ შორის ტრანზაქციებთან დაკავშირებული] დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია;

3.3.8 ანგარიშზე საბანკო ოპერაციები განახორციელოს წინამდებარე პირობებითა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

### **3.4 კლიენტს უფლება აქვს:**

3.4.1 მისცეს ბანკს ისეთი დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, რომელიც არ არის კანონმდებლობით აკრძალული;

3.4.2 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაითხოვოს/გააუქმოს ბანკში წარდგენილი საგადახდო საბუთები [ბანკისათვის მიცემული დავალება], ვიდრე მისი დავალება რეალურად არ შესრულებულა და გამოთხოვა/გააუქმება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება.

## **4. მხარეთა პასუხისმგებლობა**

4.1 ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე ანგარიშზე ოპერაციების წარმოების სისწორისა და დროულობისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2 ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

4.2.1 კლიენტის წინაშე საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული. მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს გამოწვეულია:

4.2.1.1 მიმღები ან შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით, ან ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;

4.2.1.2 იმ სახელმწიფოზე, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებს თანხის მიმღების [ადრესატის] მომსახურე ბანკი ვრცელდება ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას;

4.2.1.3 საკორესპონდენტო ბანკი [რომლის მეშვეობითაც სრულდება გადარიცხვა] უარს განაცხადებს ოპერაციის შესრულებაზე ან/და მოხდება გადასარიცხი თანხის დაკავება/ზლოკირება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის ან/და სხვა მიზნით;

4.2.2 შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:

4.2.2.1 კლიენტის დავალებით ოპერაციის განხორციელებით;

4.2.2.2 კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის [მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის] ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით;

4.2.2.3 ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;

4.2.2.4 კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;

4.2.2.5 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;

4.2.2.6 კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით ან რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

4.2.2.7 კლიენტისათვის წინამდებარე პირობებით მინიჭებული უფლებების კლიენტის მიერ გამოუყენებლობით;

4.2.2.8 ბანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით;

4.2.2.9 კლიენტის მიერ ბანკისათვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით.

4.3 კლიენტი კისრულობს პასუხისმგებლობას ანგარიშზე განხორციელებული საბანკო ოპერაციების მართლზომიერებასა და ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე. კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი. მათ შორის, აანაზღაუროს საქართველოს ეროვნული ბანკის ან სხვა ზედამხედველი ორგანოს მიერ ბანკზე დაკისრებული ფულადი ჯარიმა, რომელიც გამოწვეულია კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია ანგარიშის დახურვის შემდეგაც.

## 5. სხვა პირობები

5.1 მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

5.2 ბანკს შეუძლია მხოლოდ ისე შეწყვიტოს მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულება, რომ კლიენტმა სხვაგვარად შეძლოს საანგარიშსწორებო მომსახურების მიღება, გარდა ხელშეკრულების 3.2.5, 3.2.6, 3.2.8, 3.2.2<sup>2</sup> ქვეპუნქტებით, ასევე წინამდებარე პირობებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

5.3 მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის ურთიერთობა/კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე, თუ მხარეთა შეთანხმებით, სხვა რამ არ არის განსაზღვრული. კომუნიკაცია ხორციელდება წერილობით ან წინამდებარე პირობების 3.2.4<sup>1</sup> ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით.

5.4 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საიდენტიფიკაციო კოდია 202906427, საბანკო საქმიანობის ლიცენზია N226ა.

5.5 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი [მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2].

5.6 ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N205267389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].